


# „ანსაბოგს ჰროეჟტი, რომელიც შეესაბამება თანამედროვე განემოსდაცვით სტანდარტებს?“



საქართველოში გადანაცვების მიმდებარე და ჰესის მშენებელთა პოზიცია ევროკავშირის მოთხოვნების საპირისპიროა



ირაკლი მაჭარაშვილი  
კონსერვაციის პროგრამის კოორდინატორი

ბოლო პერიოდში ჰესების მშენებლობა სულ უფრო ხშირად ხდება საზოგადოებაში დაპირისპირების, გამათის, ადგილობრივი მოსახლეობისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების პროტესტის საგანი. რა ქმნის ამ პროტესტის საფუძველს? უკანასკნელ წლებში აშენებული დაახლოებით 40 ჰესიდან ძნელია გაიხსნოს ერთი მაინც, რომელსაც არ ახლდა მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია აქვს, უმეტესი პრობლემის შესახებ მცირერიცხოვანი სპეციალისტების ან დაზარალებული მოსახლეობისთვის არის ცნობილი.

საქართველოში სიდიდით მეორე (ენგურჰესის მერე) ჰესი - 187 მეგავატი სიმძლავრის „შუახევი ჰესი“ ექსპლუატაციაში 2017 წლის აგვისტოში შევიდა, თუმცა სამ თვეში ფუნქციონირება შეწყვიტა: გვირაბებმა, რომლებიც არასრულყოფილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე გაიყვანეს, ვერ გაუძლო წყლის ზემოქმედებას და ჩამოინგრა (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ კომპანიამ უნდა უზრუნველყო „გვირაბების გაყვანის შედეგად გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების სახეებისა და მასშტაბების, ასევე გვირაბების მშენებლობის გავლენით მიწისქვეშა წყლების რეჟიმის ცვლილების შეფასება“ და კვლევა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარუდგინოს. ამრიგად, ჰესის მშენებლობის ნებართვა ასეთი რისკების შეფასების გარეშე გაიცა). საქართველოს ენერჯეტიკის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური აგარია რომ არა (დღემდე შუახევიჰესს ექსპლუატაციიდან გაშვებიდან 26 თვის შემდეგ მხოლოდ 3,2 მილიონი კილოვატსაათი აქვს გამოიმუშავებული - მაშინ როცა საპროექტო

წლიური გამოიმუშავება 436,5 მილიონი კილოვატსაათია), შუახევიჰესის პრობლემები გადანაცვების მიმდებარე ჰესის „შეუმჩნეველი“ დარჩებოდა. მაგალითად, ვერ ამჩნევდნენ, რომ გვირაბის ჩამონგრევასა და ჰესის გაჩერებამდე ზოგიერთ დასახლებაში ინტენსიური წყლის ნაკადები გაჩნდა (მაგალითად, სოფელი გოლხანაური), რამაც გაუსაძლისი გახადა ადგილობრივების ცხოვრება. დღემდე ვერ ამჩნევენ, რომ შუახევიჰესის გვირაბების მშენებლობამ (აფეთქებების გამოყენებით), ზემო აჭარის რამდენიმე სოფელს სასმელი წყლის პრობლემა შეუქმნა. დაიბარა სახლები და ხეხილის ბაღებმა ხმოზა დაიწყეს იმ სოფლებში, რომელთა ქვეშაც გაატარეს ჰესის გვირაბები; ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისათვის დაქირავებული ექსპერტები თავის ანგარიშებში აღნიშნავენ, რომ პროექტის განხორციელების შემდეგ ძალზე თვალსაჩინოა ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია, ხოლო მათი რეკომენდაციები არ სრულდება. თუმცა ეს ანგარიშები მთავრობას თაროზე აქვს შემოდებული.



დამზრალი საუკუნოვანი წყარო შუახევი ჰესის მშენებლობით დაზარალებული სოფელ ჩანჩხალოში (ზემო აჭარა).



ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავში სასმელი წყლის ნაწილი გაქრა, რასაც ადგილობრივები მტკვარი ჰესის მშენებლობას უკავშირებენ. ანალოგიურად, ახმეტა-ჰესის მშენებლობის შედეგად სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა შეეზღუდა ზემო და ქვემო ალვანის მოსახლეობას. 9 მეგავატიანი ჰესის აშენების შემდეგ წყალი ამ სოფლებს მხოლოდ გრაფიკით მიეწოდება).

ღარიალჰესი და ლარსიჰესი არაერთხელ დააზიანა მყინვარ დევიდორაკიდან წამოსულმა გლაციალურმა ღვარცოფმა, დაიღუპა ჰესის მშენებლობაზე დასაქმებული რამდე-ნიმე ადამიანი. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დროს სათანადოდ არ გაითვალისწინეს ის საფრთხეები, რომლებიც ბუნებრივი პროცესების უგუნჯლოცად მოჰყვებოდა.

ბახვი 3 გახსნამდე ორჯერ დაანგრია მენყერმა, ვინაიდან არასრულყოფილი წინასწარი კვლევის გამო სწორად ვერ შეირჩა სამშენებლო ადგილი.

ამ პროცესების სავალალო შედეგები საზოგადოების ძირითადი ნაწილისთვის იმ შემთხვევაში ხდება ცნობილი, თუ მას ადამიანის მსხვერპლი ან ელექტროენერჯის გამომუშავების შეფერხება მოჰყვება. ადგილობრივი მოსახლეობისთვის სასმელი, სარწყავი და სარეკრეაციო წყლის ხელმისაწვდომობის შემცირება, მდინარისპირა ეკოსისტემების დეგრადაცია, თევზების პოპულაციების შემცირება - ეს პრობლემები შეუმჩნეველი რჩება. მაგალითად, „ვერავინ“ შეამჩნია, რომ ერთ დროს ბუნების ძეგლი - ხდის ხეობა, იგივე ბროლისწყალი, ხრიოკ რიყედ აქცია ენერგეტიკული თვალსაზრისით ძალიან მცირე სარგებლის მომტანმა 6 მეგავატიანმა ყაზბეგი ჰესმა. მლეთასთან აშენებული არაგვიჰესი იმდენ წყალს იღებს მდინარე არაგვიდან, რომ ე.წ.

„თევზსავალი“ მთლიანად წყლის გარეშე რჩება. ფარავანი-ჰესზე კი ისეთი დიზაინის თევზსავალი სულ მინიმუმ ძუძუმწოვრის ინტელექტის მქონე თევზებზეა გათვლილი.

პრობლემებს მხოლოდ ახლად აშენებული ჰესები არ ქმნიან. გარემოსდაცვითი სტანდარტების იგნორირების გამო ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე დამანგრეველი ზემოქმედება მოახდინეს საბჭოთა პერიოდში აშენებულმა ჰესებმაც და ეს პროცესი კვლავ გრძელდება. მაგალითად, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ეკოლოგიური კატასტროფა ჰესის მშენებლობის პროცესში გარემოსდაცვითი საკითხების უგულვებლყოფას უკავშირდება. ტყის ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული მავნებელი, წიწვოვანი ხეების მავნებელი დიდი ლაფანჭამია, რომელიც ხის ლაფანზე იზრდება, საქართველოში მასობრივად გავრცელდა გასული საუკუნის 50-70-იან წლებში. ის პირველად ბორჯომში ე.წ. ხემომწვარას ნაძვნარებში გამოჩნდა. კვლევებით დადგინდა, რომ დიდი ლაფანჭამია 1956 წელს ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისთვის ციმბირიდან შემოზიდულ ფიჭვის გაუქერქავ მორებს შემოჰყვა. ლაფანჭამია თანდათან საქართველოს რეგიონებს მოედო და ნაძვები მასობრივად გაახმო. მიუხედავად ათწლეულების მანძილზე ჩატარებული ღონისძიებებისა, ეს ინვაზიური სახეობა ტყის ეკოსისტემების განადგურებას დღემდე აგრძელებს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე აშენებულმა ჰესებმა მეტად უარყოფითი ზეგავლენა იქონია საქართველოს ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემურ სერვისებზე (მათ შორის თევზჭერაზე). ოფიციალური მონაცემებით, 1948-55 წლებში ენგურის შესართავში მოიპოვეს 14100 კგ სვია და 8762 კგ რუსული ზუთხი. 1927-28 წლებში



„არაგვი ჰესი“ მდინარე თეთრ არაგვზე, შპს „ენერჯო არაგვის“ დაკვეთით სამუშაოებს შპს „ფერი“ ასრულებდა. ეს მცირე ჰესი თევზების მიგრაციისთვის გადაულახავი ბარიერია - ის მომდევნო ფოტოები

რიონში მოიპოვეს 2566 კგ ატლანტური ზუთხი. ყოველწლიურად მდინარეებში იჭერდნენ 9 ტონა შავი ზღვის ორაგულს და 50-80 ტონა კალმახს. ჰესების აშენების შემდეგ, საბინადრო გარემოს განადგურების გამო, ყველა ეს სახეობა გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და ბუნებრივია, აიკრძალა კომერციული მოპოვება. ზოგიერთი სახეობა ერთეულების სახითაა შემორჩენილი. ენგურჰესისა და რიონზე ჰესების კასკადის მშენებლობამ ფაქტობრივად განადგურა ზუთხების ექვსივე სახეობის საბინადრო გარემო. ვარციხეჰესის კასკადის აშენების შედეგად ზუთხისებრთა სატოფე ადგილები ძლიერ შემცირდა, მდინარე კაშხლებით გადაიკეტა, მდინარის ფსკერი კი დაიფარა მსხვილი ხრეშითა და ბრტყელი ქვებით. ჰაბიტატის ფრაგმენტაციისა და დეგრადაციის (კაშხლით მდინარის გადაღობვა, მდინარის ქვედა ბიეფში წყლის რაოდენობის დაახლოებით 90%-ით შემცირება, წყალში დამაბინძურებლების კონცენტრაციის მატება) და წყალსაცავით გამოწვეული დაბინძურების გამო ორაგულისა და ზუთხის პოპულაციები, რომლებიც ჩვეულებრივ ბინადრობდნენ მდინარე ენგურში, თითქმის გაქრნენ.

ჰესების მშენებლობით გამოწვეულ ერთ-ერთ საფრთხეს წარმოადგენს სანაპიროს ეროზია, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ბიომრავალფეროვნებას, ეკოსისტემურ სერვისებსა და ინფრასტრუქტურას. რიონის ნატანის შემცირებაზე განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა მდინარე გუმათ-

ჰესმა იქონია, რომელმაც, ფაქტობრივად, გაანახევრა ეს მაჩვენებელი. ენგურჰესის აშენების შედეგად მდინარის ნატანი სანაპიროზე 83%-ით შემცირდა. ასევე უარყოფითად იმოქმედა სოხუმიჰესის აშენებამ მდინარე გუმისთაზე, რის შედეგადაც ნატანის რაოდენობა 20-25 %-ით შემცირდა. სანაპირო ეროზია განვითარდა იმ ადგილიდან, სადაც მდინარე ენგურის წყალი დერივაციის შემდეგ შავ ზღვაში ჩაედინება.

თევზსავალი არ ფუნქციონირებს ორთაჭალჰესზე, რომელიც მდინარე მტკვარს მთლიანად კეტავს და გარემოს დაცვის სამინისტროდან 5 წუთის ფეხით სავალზე მდებარეობს, რის შედეგადაც თევზის პოპულაცია განუხრელ დეგრადაციას განიცდის.

ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებმა და დეველოპერებმა აღიარონ ეს პრობლემები, გაერკვნენ მათი წარმოშობის მიზეზები და მათ გადაჭრაზე იზრუნონ, აშკარად მტრულ განწყობას ამჟღავნებენ გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი აქტივისტების მიმართ და ხშირად დემაგოგიურად სვამენ კითხვას - „არსებობს რომელიმე პროექტი, რომელსაც არ ეწინააღმდეგებით?“ პრობლემის მოგვარების სურვილი და პოლიტიკური ნება რომ არსებობდეს, კითხვა ასე დაისმებოდა: „არსებობს პროექტი, რომელიც შეესაბამება თანამედროვე გარემოსდაცვით სტანდარტებს?“



„არაგვი ჰესი“. მდინარის დიდი ნაკადი (მარჯვნივ) მთლიანად მილში ჩადის (იხ. სურათი 4.) და ტურბინებისკენ მიდის, ხოლო მცირე ნაკადი ე.წ. „თევზსავალისკენ“ (იხ. სურათი 5.)

„არაგვი ჰესი“, წყლის უმეტესი (ჩამონადენის 90%) ცხაურის გავლით ტურბინებისკენ მიდის, თევზების გადარჩენის და მიგრაციის შანსი აქ 0-ის ტოლია.



ევროკავშირსა და აშშ-ში არსებული სტანდარტების დაწვრილებითი განხილვა შორს წაგვიყვანს, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგინთ ევროკავშირის წყლის ჩარჩო ღირებულების რეკომენდაციებს ჰესების განვითარებასთან დაკავშირებით:

1. ხელშეუხებელი ზონების გამოყოფა, სადაც აიკრძალება ახალი ჰესების მშენებლობა; (იგულისხმება, რომ მდინარეებზე, სადაც პირველქმნილი ბუნება და ღირებული ბიომრავალფეროვნებაა წარმოდგენილი, ჰესები არ უნდა აშენდეს).

2. არსებული ჰესების განახლება და მოდერნიზება იმისათვის, რომ მაქსიმალურად ავირიდოთ ახალი ჰესების მშენებლობა და მათგან გამოწვეული ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე;

3. ნათელი ეკოლოგიური სტანდარტების დაწესება ახალაშენებული და განახლებული ჰესებისათვის და საექსპლუატაციო პირობების გამოსწორება. მაგალითად, ჰესებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ეფექტური თევზსავალები და იცავდნენ წყლის ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) ხარჯის გამოყენების სტანდარტს;

4. პროექტის დანახარჯისა და სარგებლის ანალიზი აუცილებლად უნდა ჩატარდეს, რათა გადაწყდეს, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მიყენებული ზიანს ნამდვილად აღემატება თუ არა ჰესის ეკონომიკური/ენერგეტიკული სარგებელი.

5. პროექტის ზომა არ არის მისგან მიყენებული ზიანის

განმსაზღვრელი კრიტერიუმი. ნებისმიერი ზომის პროექტმა შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომლის შედეგადაც გაუარესდება წყლის ობიექტის ხარისხი და დაირღვევა წყლის ჩარჩო ღირებულების (მუხლი 4(7)) მოთხოვნები.

როგორც ვხედავთ, საქართველოში გადაწყვეტილების მიმღებთა და ჰესის მშენებელთა პოზიცია ევროკავშირის მოთხოვნების საპირისპიროა. მაგალითად, პანკისის ხეობის წარმომადგენელთა თვალსაზრისი ძალზე პროგრესულია და სრულად შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს. მათგან განსხვავებით, მაღალჩინოსნებისა და კომპანია „ფერის“ წარმომადგენელთა მტკიცება იმის შესახებ, რომ მცირე ჰესს (რომელიც ე.წ. წყლის 10%-იანი სანიტარული ხარჯის მეთოდით იგეგმება - იხ. ქვემოთ) არანაირი ზიანის მოტანა არ შეუძლია, საბჭოთა პერიოდის ამროვნების ნიმუშს წარმოადგენს.

ბუნებრივია, რომ ონის რაიონის, გურიის სოფელ სურებისა და პანკისის მოსახლეობა აღარ ენდობა კომპანია „ფერის“, რომელმაც აქამდე ააშენა დარიალჰესი, ლარსი-ჰესი და ყაზბეგი ჰესი; ქუთაისისა და ლეჩხუმის მოსახლეობა არ ენდობა კომპანია „ქლინ ენერჯის“, რომელმაც, მიუხედავად შუახევი-ჰესის აგარიისა, ახალი ნებართვა მიიღო უფრო დიდი-ნამახვანჰესის მშენებლობაზე.

ხელისუფლების წარმომადგენელთა და ჰესების მშენებელთა მხრიდან ხშირად ისმის დემაგოგიური განცხადებები იმის შესახებ, რომ აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში უამრავი ჰესია აშენებული და მათ არანაირი ზიანი არ მოუტან

ნიათ. ეს, რა თქმა უნდა, გაუთვითცნობიერებელ აუდიტორიაზეა გათვლილი.

საქმე ისაა, რომ აშშ-ში, ევროპაში, იაპონიაში, სადაც მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე მართლაც ბევრი ჰესი აშენდა, დაგროვდა დიდი გამოცდილება, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლიათ ჰესებს, როდესაც სათანადოდ არ ითვალისწინებენ გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს. ამ უარყოფითი გამოცდილების გამო შეცვალეს ამ ქვეყნებმა თავისი გარემოსდაცვითი სტანდარტები. მაგალითად, ჰესების მშენებლობის დროს მდინარეში დასატოვებელი წყლის ხარჯის სწორად განსაზღვრა ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა. ამ თვალსაზრისით, მსოფლიოში ჰესების მშენებლობის 3 პერიოდი გამოიყოფა: საინჟინრო ერა, ეკოლოგიური ერა და სოციალურ-ეკოლოგიური ერა.

საინჟინრო ერის (მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე) დროს ყურადღება მხოლოდ ენერგეტიკული მიზნების მაქსიმალურად მიღწევას ექცეოდა, ამის გამო მდინარეში მინიმალური რაოდენობით წყალს ტოვებდნენ (არაუმეტეს 10% საშუალო წლიური ჩამონადენი, ე.წ. „სანიტარული ხარჯი“).

მას შემდეგ, რაც აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში „საინჟინრო ერაში“ მიღებული დიზაინით აშენებული დიდი რაოდენობით ჰესების მიერ მიყენებული შეუქცევადი ზიანი თვალსაჩინო გახდა, მეცნიერებმა დაიწყეს ახალი მიდგო-


მების შემუშავება. ჩამოყალიბდა „ეკოლოგიური მოდელი“, რომელიც გულისხმობდა თევზების (როგორც ინდიკატორი სახეობების) საბინადრო გარემოს დაცვასა და ენერგეტიკული მიზნების მეორე პლანზე გადაწვევას (ჰესების მშენებლობის „ეკოლოგიური ერა“ - მე-20 საუკუნის 70-90-იანი წლები).

თუმცა, 1990-იანი წლებიდან მიდგომა ისევ შეიცვალა, ვინაიდან ცხადი გახდა, რომ მხოლოდ ეკოლოგიური საკითხებისთვის პრიორიტეტის მინიჭება არ იყო საკმარისი. 1990-იანი წლებიდან დღემდე ცივილიზებულ მსოფლიოში იწყება ჰესების მშენებლობის ე.წ. „სოციალურ-ეკოლოგიური ერა“. ჩამოყალიბდა ახალი მიდგომები, რომლებიც წყლის გარემოსდაცვითი ხარჯის შესახებ ამბობს (ბრისბანის დეკლარაცია 2007): „გარემოსდაცვითი ხარჯი არის წყლის ხარჯის რაოდენობა, რეჟიმი, ხარისხი და დონე, რომელიც აუცილებელია მტკნარი წყლის ეკოსისტემებისა და ამ ეკოსისტემებზე დამოკიდებული ადამიანების საარსებო წყაროებისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.“

სწორედ ამას მოგითხოვთ ხელისუფლებისა და ინვესტორებისგან, რომ ჰესების მშენებლობისას გამოიყენონ თანამედროვე გარემოსდაცვითი სტანდარტები და უარი თქვან საბჭოთა მემკვიდრეობაზე.



„არაგვი ჰესი“ ე.წ. „თევზსავალი“ - თევზებისთვის ის გადაულახავ ბარიერს წარმოადგენს.





„არაგვი ჰესი“, მეორე ნაწილი. მდინარის უმეტესი ნაწილი ცხაურის გავლით ტურბინებისკენ მიდის.

იგივე მოლოდინი აქვს ევროკავშირს საქართველოს მთავრობისგან. 2018 წლის 14 ნოემბერს ევროპარლამენტმა რეზოლუციით დაამტკიცა ანგარიში საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობის შესახებ, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გაამახვილა გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის საკითხებზე. ევროპარლამენტმა მოუწოდა საქართველოს მთავრობას: შეიმუშაოს ქმედითი ენერგეტიკული სტრატეგია, ხელი შეუწყოს განახლებადი ენერჯების ათვისებასა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ღონისძიებებს; გაზარდოს საზოგადოების მონაწილეობის დონე/ხარისხი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას; გაუმჯობესოს საქართველოს მიერ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულების ხარისხი. ევროპარლამენტმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს მთავრობას დაგეგმილი აქვს ჰიდროენერჯის შემდგომი განვი-

თარება და, აღნიშნულის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ მოსთხოვა მას, უზრუნველყოს ყველა ჰიდროენერგეტიკული პროექტის შესაბამისობა ევროკავშირის სტანდარტებთან, კერძოდ, გზა პროცესის გამჭვირვალობა გადანაცვლებების მიღების ყველა ეტაპზე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის გზით.

ჩვენი მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის მოთხოვნებთან. ენერგეტიკის სექტორში არსებული პრობლემები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- **განახლებადი ენერგეტიკის განვითარების სისტემური მიდგომისა და სტრატეგიის არქონა<sup>1</sup>** ახალი სიმძლავრეების მშენებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები პრაქტიკულად არასოდეს არის დასაბუთებული, არ ხდება გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეპირისპირება გარემოსდაცვითი, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური ფაქ-

<sup>1</sup> საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ მოამზადა „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025“, რომლის საჯარო განხილვები არ გამართულა, დოკუმენტს არ ჩატარებია სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება და არ დამტკიცებულა ნორმატიული აქტით კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტი მხოლოდ პროექტის სახით არის გამოქვეყნებული.

<http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Sakartvelos%20Energetikis%20Ganvitarebis%20Strategia%2020162025%20Samushao%20Dokumentielektroenergetikis%20Natsili%201641%20geo.pdf>

ტორების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ, ფართო საზოგადოებრივი მონაწილეობით, დაუყოვნებლივ მოამზადოს ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგია და უზრუნველყოს მისი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება;

- **ჰესების მშენებლობის დაგეგმვის გაუმართავი და გაუმჭვირვალე საკანონმდებლო ნორმები;** მთავრობასა და ინვესტორს შორის ჰესის მშენებლობის შესახებ მემორანდუმის დადება გარემოზე მემოქმედების შეფასებამდე ხდება, რაც ამრს უკარგავს გზმ-ს პროცესს.<sup>2</sup> ხშირად ჰესები იგეგმება/შენდება ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნებით გამორჩეულ ადგილებზე, არსებულ ან პოტენციურ დაცულ ტერიტორიაზე.<sup>3</sup> დაუყოვნებლივ უნდა შევიდეს ცვლილებები და გაუქმდეს გზმ-ს ჩაგტარებამდე მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმების პრაქტიკა.

- **ჰიდროენერგოსექტორში, ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან ინვესტორებისთვის ხანგრძლივი პერიოდით ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის შეთავაზება;** მსგავსი მიდგომა ამახინჯებს თავისუფალი ბაზრის იდეას და ეწინააღმდეგება ენერგოტანამეგობრობის წესებსა და მასთან დაკავშირებულ საქართველოს ვალდებულებებს.<sup>4</sup> ასევე, ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, მშენებლობის ნებართვები გაიცემა უხარისხო გზმ ანგარიშების საფუძველზე, რომლებზეც ევროკავშირის არცერთ ქვეყანაში ნებართვა არ გაიცემოდა. საჭიროა მთლიანად აიკრძალოს ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის პრაქტიკა, ასევე დაწესდეს მკაცრი სანქციები იმ საკონსულტაციო კომპანიებისათვის, რომელთა მომზადებული გზმ-ს გამო წარმოიშვა მნიშვნელოვანი პრობლემები.

- **პროექტების ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობისა და დამოუკიდებელი ექსპერტების არასაკმარისი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;** საუკეთესო შემთხვევაში ხდება მხოლოდ დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება, მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და არგუმენტების გათვალისწინების გარეშე.<sup>5</sup>

- **გარემოსდაცვითი/უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტებისა და ნორმების არარსებობა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის უგულვებელყოფა და საბჭოთა პერიოდის მოძველებული ნორმებით სარგებლობა** (მაგალითად, მდინარის გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრის მეთოდიკა). საჭიროა მთავრობამ დაუყოვნებლივ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ჰიდროენერგეტიკული პროექტების განხორციელების სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ყველა ტიპის რისკების შეფასებას (გარემოსდაცვითი, სოციალური, გენდერული, იძულებითი განსახლების, ეკონომიკური მიზანშეწონილობის და სხვა), ხოლო ამ დოკუმენტების შემუშავებამდე შეწყდეს ახალი პროექტების ინიცირება/ განხორციელება.

- **ექსპლუატაციაში შესული ჰესების მიერ მინიმალური სტანდარტების, სანებართვო დოკუმენტაციით განსაზღვრული ვალდებულებებისა და საკომპენსაციო ღონისძიებების შეუსრულებლობა და ამაზე სახელმწიფოს არასათანადო რეაგირება.**

- **ენერგეტიკის სექტორში არსებული ინტერესთა კონფლიქტები და ელიტური კორუფციის საფრთხეები.**<sup>6</sup> უპირველეს ყოვლისა, საქართველოს პარლამენტმა უნდა გააძლიეროს თავისი საზედამხებდებლო ფუნქცია და შეინაწავლოს ენერგეტიკის სექტორში არსებული ინტერესთა კონფლიქტები და შესაძლო კორუფციის საკითხები.

<sup>2</sup> მემორანდუმებთან დაკავშირებული დეტალური შეფასებისთვის იხილეთ: The World Bank - Assessment of Fiscal Costs and Tariff Impacts of Power Purchase Agreements; February 22, 2018

ხელმისაწვდომია: [http://greenalt.org/wp-content/uploads/2018/09/Assessment\\_of\\_HPP\\_Cost\\_2018.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2018/09/Assessment_of_HPP_Cost_2018.pdf)

მწვანე ალტერნატივა - ენერგეტიკული პროექტების განსახორციელებლად დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმები და შეთანხმებები, სამართლებრივი ანალიზი 2012;

<sup>3</sup> ხელმისაწვდომია: [http://www.greenalt.org/webmill/data/file/legal\\_analysis\\_of\\_memorandums\\_agreements.pdf](http://www.greenalt.org/webmill/data/file/legal_analysis_of_memorandums_agreements.pdf)

UNEP and WWF, 2013. TEEB Scoping Study for Georgia. United Nations Environment Programme (UNEP), Geneva, Switzerland,

[http://doc.teebweb.org/wp-content/uploads/2014/01/TEEB-Scoping-Study-for-Georgia\\_2013WEB.pdf](http://doc.teebweb.org/wp-content/uploads/2014/01/TEEB-Scoping-Study-for-Georgia_2013WEB.pdf)

<sup>4</sup> იხ. ენერგოტანამეგობრობის შეფასება

<https://www.energycommunity.org/implementation/Georgia/RE.html?fbclid=IwAR1C5jisV6tNvTs793BRbNcAEBbY1pXc23LVc08dd1PJUEfjxBpaLixdZl>

<sup>5</sup> მწვანე ალტერნატივა: „საზოგადოების მონაწილეობა ენერგეტიკის პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას“;

ხელმისაწვდომია: [http://greenalt.org/wp-content/uploads/2018/06/public\\_participation\\_energy\\_projects\\_policy\\_brief\\_GEO.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2018/06/public_participation_energy_projects_policy_brief_GEO.pdf) [df/pages/Sakartvelos%20Energetikis%20Ganvitarebis%20Strategia%2020162025%20Samushao%20Dokumentielektroenergetikis%20Natsili%201641%20geo.pdf](http://pages/Sakartvelos%20Energetikis%20Ganvitarebis%20Strategia%2020162025%20Samushao%20Dokumentielektroenergetikis%20Natsili%201641%20geo.pdf)

<sup>6</sup> მწვანე ალტერნატივა „ენერგოპროექტები და კორუფცია საქართველოში, 2013“;

ხელმისაწვდომია: [http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/11/Energy\\_project.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/11/Energy_project.pdf);


ასევე - „ბუნებრივი რესურსების მართვა და ელიტური კორუფციის ხელშემწყობი ფაქტორები, 2015“

[http://greenalt.org/wp-content/uploads/2015/03/bunebrivi\\_resursebis\\_martva.pdf?](http://greenalt.org/wp-content/uploads/2015/03/bunebrivi_resursebis_martva.pdf?)

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის საქართველოს ენერგოსექტორის ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით განვითარებას, ეს არის რუსული ინტერესები ქართულ ბიზნესში, მათ შორის - ენერგეტიკაში. ქვეყნის ენერგოსისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება რუსული კომპანიების საკუთრებაში, რაც კიდევ უფრო მეტ კითხვას აჩენს საქართველოს ყოფილი და ამჟამინდელი მთავრობების ქმედებების მიმართ. მათ შორის აღსანიშნავია: ელექტროსადგურები "ხრამჰესი 1", "ხრამჰესი 2", "ჟინვალ-ჰესი," გარდაბნის თბოსადგური - შპს "მტკვარი ენერგეტიკა" - რომლებზეც მოდის დაახლოებით 2100 მილიონი კილოვატსაათი, რაც ელექტროენერჯის წლიური გამომუშავების 20%-ზე მეტს შეადგენს. ამავდროულად ამ ელექტროსადგურებზე მოდის ბამთრის სეზონში (დეკემბერი-მარტი) გამომუშავებული ელექტროენერჯის თითქმის მესამედი. საკვანძო საკითხია, რომ ისინი არიან საბაზო ელექტროსადგურები, რომელთა გარეშე ენერგოსისტემა საერთოდ ვერ იფუნქციონირებს. აღსანიშნავია ასევე სს "თელასი" (რომელიც ეწევა მთლიანი ელექტროენერჯის 20-22%-ის დისტრიბუციას და რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის დედაქალაქი და მისი შემოგარენი) და ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიანტი, საქართველოს მთავრობისა და "რუსეთის ერ-

თიანი ენერგეტიკული სისტემის" ერთობლივი სს „საქრუს-ენერგო“.

"ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" კვლევის "რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში" მიხედვით, "ელექტროენერჯია ის სფეროა, სადაც რუსული კომპანიები და რუსეთის მოქალაქეების მიერ დაფუძნებული კომპანიები ყველაზე ფართოდ არიან წარმოდგენილნი ქართულ ბაზარზე"..... "2010 წელს საქართველოში დაფუძნებული კომპანიის შპს „ენერჯის“ საკუთრებაშია დარიალი ჰესი, ლარსი ჰესი და შილდა ჰესი. „ენერჯის“ 70 პროცენტი რუსეთის მოქალაქე მეგლუდ ბლიაძეს ეკუთვნის, 30 პროცენტი კი შპს „ფერის“ მფლობელობაშია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მეგლუდ ბლიაძის ინვესტიცია 2011 წელს რუსეთიდან განხორციელებულ ყველაზე მსხვილ ინვესტიციებს შორის მოხვდა. მეგლუდ ბლიაძე რუსეთის უმაღლეს პირებთან დაახლოებულ ბიზნესმენად ითვლება. რუსეთის მოქალაქე ალი მარავეი ფლობს შპს „ენერგო ინვესტს“ („ავანიჰესი“). რუსეთისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მფლობელის, რაულ ქურდაძის საკუთრებაშია შპს „ფშავი ჰიდრო“ („სკურდიდი ჰესი“). ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება.



„არაგვი ჰესი“. მდინარის უმეტესი ნაწილი ცხაურის გავლით ტურბინებისკენ მიდის. პროექტის მიხედვით, ამ ნაგებობის ქვემოთ, მდინარის ბუნებრივ კალაპოტში მხოლოდ ე.წ. „სანიტარული ხარჯი“, მდინარის ჩამონადენი 10% უნდა რჩებოდეს



„არაგვი ჰესი“-ს უწყლო თევზსავალი

საგულისხმოა, რომ ვერც ყოფილი და ვერც ამაჟამინდელი ხელისუფლება ამაში ვერ ხედავს პრობლემას, ამავედროულად კი, გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემების უგულებელყოფით, ახალი ჰესების მშენებლობის კამპანიას რუსეთისგან ენერგოდამოუკიდებლობის განზრახვით ასაბუთებს. ხოლო როდესაც არგუმენტები შემოეღებათ, ჰესის მშენებლები და ხელისუფლება გარემოსდამცველებსა და ადგილობრივ მოსახლეობას მართულებს უწოდებენ. ამაზეა ნათქვამი, გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრიჩებაო!

ამრიგად, სრულიად ნათელია, რომ ხელისუფლების ენერგოპოლიტიკა ეწინააღმდეგება ქვეყნის გაცხადებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს, სამაგიეროდ, ხელს აძლევთ სხვადასხვა ბიზნეს-ჯგუფებს, რომლებიც ხშირად საერთო ფინანსური ინტერესებით არიან დაკავშირებული საქართველოს ხელისუფლებისა და ართუ იშვიათად - რუსულ კომპანიებთან, ხოლო გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნები ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით სრულად შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას.

“...Out of recently constructed about 40 HPPs it is difficult to recall any without significant environmental and socioeconomic problems...”

“...Reduced access to drinking water, irrigation and recreational water for local population, degradation of river ecosystems and reduction of fish populations - these problems remain unnoticed...”

“...One of the threats caused by the construction of HPPs is coastal erosion, which greatly damages biodiversity, ecosystem services and infrastructure...”

“...This is exactly what we demand from the government and investors: during construction of HPPs to use modern environmental standards and reject the Soviet heritage...”

“...”Electricity is the area where the Russian companies and companies established by Russian citizens are the most widely represented on the Georgian market...”